

შპს „რედბერი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი მიმოხილვა	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა	7
4. შეფასებების და დაშვებების გამოყენება	18
5. იჯარა	20
6. ძირითადი საშუალებები	21
7. გაცემული სესხი	22
8. სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები	22
9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	23
10. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	23
11. კაპიტალი	24
12. სავაჭრო ვალდებულება	24
13. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	24
14. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	25
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	25
16. ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოქმნილი რისკები	26
17. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	27
18. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები	27

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „რედბერის“ პარტნიორებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „რედბერის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.



**Building a better
working world**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.



**Building a better
working world**

- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა ჯგუფი ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საბაზისო გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფარგლებში არსებული საწარმოებისა თუ ბიზნეს-ოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რათა გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და მის შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის აუდიტის პროცესში გამოვლენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

ანა კუსრაშვილი
შპს „იუაის“ სახელით
2022 წლის 13 მაისი
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „რედბერის“ პარტნიორებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „რედბერის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთი მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა ჯგუფი ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საბაზისო გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფარგლებში არსებული საწარმოებისა თუ ბიზნეს-ოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რათა გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და მის შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის აუდიტის პროცესში გამოვლენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

ანა კუსრაშვილი
შპს „იუაის“ სახელით
2022 წლის 13 მაისი
თბილისი, საქართველო

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2021	2020
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან	13	4,134	2,664
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება საერთო მოგება/(ზარალი)	14	(3,920)	(2,848)
		214	(184)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები ცვეთა და ამორტიზაცია	15	(1,790)	(1,385)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		(226)	(182)
		8	41
საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული სხვა ხარჯები		(155)	(179)
საოპერაციო ზარალი		(1,949)	(1,889)
ფინანსური შემოსავალი		623	842
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯი		(11)	(13)
საკურსო ზარალი		(15)	(3)
მეკავშირე საწარმოების ზარალის წილი		-	(22)
მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციის გაუფასურება	10	(413)	-
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(1,765)	(1,085)
მოგების გადასახადი		-	-
წლის ზარალი და მთლიანი სრული ზარალი		(1,765)	(1,085)
მიკუთვნებადი შემდეგ პირებზე:			
მშობელი კომპანიის აქციონერები		(1,720)	(1,005)
არასაკონტროლო წილი		(45)	(80)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები შპს „რედბერის“ ხელძღვანელობამ 2022 წლის 13 მაისს დაამტკიცა და მისი სახელით ხელი მოეწერა შემდეგი პირების მიერ:

გაგა დარასელია

13 მაისი, 2022 წ.

დირექტორი



სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2021	2020
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	13	4,134	2,664
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	14	(3,920)	(2,848)
საერთო მოგება/(ზარალი)		214	(184)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(1,790)	(1,385)
ცვეთა და ამორტიზაცია		(226)	(182)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		8	41
საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული სხვა ხარჯები		(155)	(179)
საოპერაციო ზარალი		(1,949)	(1,889)
ფინანსური შემოსავალი		623	842
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯი		(11)	(13)
საკუროს ზარალი		(15)	(3)
მეკავშირე საწარმოების ზარალის წილი		–	(22)
მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციის გაუფასურება	10	(413)	–
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგრამდე		(1,765)	(1,085)
მოგების გადასახადი		–	–
წლის ზარალი და მთლიანი სრული ზარალი		(1,765)	(1,085)
მიკუთვნებადი შემდეგ პირებზე:			
მშობელი კომპანიის აქციონერები		(1,720)	(1,005)
არასაკონტროლო წილი		(45)	(80)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები შპს „რედბერის“ ხელმძღვანელობამ 2022 წლის 13 მაისს დაამტკიცა და მისი სახელით ხელი მოეწერა შემდეგი პირების მიერ:

გაგა დარასელია

დირექტორი

13 მაისი, 2022 წ.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2021	2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
აქტივის გამოყენების უფლება	5	168	127
ძირითადი საშუალებები	6	212	196
არამატერიალური აქტივები		3	1
გაცემული სესხი	7	–	149
მეკავშირე საწარმოებში ინვესტირება	10	60	–
		443	473
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		1	4
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები		12	2
სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები	8	731	424
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	5,126	6,971
		5,870	7,401
სულ აქტივები		6,313	7,874
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	7,568	7,568
აკუმულირებული ზარალი		(2,240)	(520)
ჯგუფის პარტნიორებისთვის განკუთვნილი მთლიანი კაპიტალი		5,328	7,048
არასაკონტროლო წილი		(18)	27
სულ კაპიტალი		5,310	7,075
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	5	78	–
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		78	–
მიმდინარე ვალდებულებები			
ანარიცხები		63	63
საიჯარო ვალდებულებები	5	48	152
სავაჭრო ვალდებულებები	12	765	477
სახელშეკრულებო ვალდებულებები		49	107
სულ მიმდინარე ვალდებულებები		925	799
სულ ვალდებულებები		1,003	799
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		6,313	7,874

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	განკუთვნილი ჯგუფის პარტნიორებისთვის				
	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებე ლი მოგება / (აკუმულირებ ული ზარალი)	სულ	არასაკონტრ ოლო წილი	სულ კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბერი	7,568	545	8,113	47	8,160
წლის მთლიანი ზარალი	–	(1,005)	(1,005)	(80)	(1,085)
შვილობილი კომპანიის საწესდებო კაპიტალის ზრდით წარმოქმნილი არასაკონტროლო პაკეტი	–	(60)	(60)	60	–
2020 წლის 31 დეკემბერი	7,568	(520)	7,048	27	7,075
წლის მთლიანი ზარალი		(1,720)	(1,720)	(45)	(1,765)
2021 წლის 31 დეკემბერი	7,568	(2,240)	5,328	(18)	5,310

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე		(1,765)	(1,085)
კორექტირებები დაბეგვრამდელი ზარალის წმინდა ფულადი ნაკადებთან შესაბამისობაში მოსაყვანად			
ცვეთა და ამორტიზაცია		226	182
ძირითადი საშუალებების გასხვისებასთან/გაუფასურებასთან დაკავშირებული ზარალი		47	13
არამატერიალური აქტივების გაუფასურება		–	77
დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი	8	40	8
შემოსავალი საიჯარო დათმობიდან	5	–	(15)
მეკავშირე საწარმოში ინვესტიციების გაუფასურება	10	413	–
ფინანსური შემოსავალი		(623)	(842)
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯი		11	13
შემოსავალი სახელმწიფო გრანტიდან		–	(19)
ფინანსურ და საინვესტიციო საქმიანობაში საკუროსო სხვაობიდან მიღებული ზარალი		5	23
მეკავშირე საწარმოს ზარალის წილი		–	22
საბრუნავ კაპიტალში შესული ცვლილებები			
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		3	(1)
ცვლილება გადახდილ ავანსებსა და სხვა მიმდინარე აქტივებში		(10)	11
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში		(347)	(42)
ცვლილება სავაჭრო ვალდებულებებში, სახელშეკრულებო ვალდებულებებსა და საიჯარო ვალდებულებებში		190	280
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე		(1,810)	(1,375)
გადახდილი მოგების გადასახადი		–	–
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(1,810)	(1,375)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(131)	(79)
გაცემული სესხი		–	(162)
საბანკო ანაზრებზე მიღებული პროცენტი		623	907
მეკავშირე საწარმოებში ინვესტირება	10	(284)	–
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		208	666
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	5	(250)	(141)
ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(250)	(141)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა კლება		(1,852)	(850)
წმინდა საკუროსო სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		7	11
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	9	6,971	7,810
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს	9	5,126	6,971

5-27 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. ზოგადი მიმოხილვა

შპს „რედბერი“ (შემდგომში „კომპანია“ და შვილობილ კომპანიებთან ერთად „ჯგუფი“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც 2014 წლის 29 აგვისტოს დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ. მისი იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ტაშკენტის შესახვევი №9. ჯგუფი გასწევს ციფრული მარკეტინგის მომსახურებებს საქართველოში, მათ შორის ციფრული პროდუქტების დაპროექტების და განვითარების, კრეატიული კამპანიების ჩატარების, სოციალური მედიის მართვის და სხვ. ჩათვლით. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიას და მის შვილობილ კომპანიებს:

- 100%-იან წილს შპს „შაბათობაში“, საყოფაცხოვრებო პროდუქტების საბითუმო ვაჭრობის პლატფორმა, რომელიც 2018 წლის 2 ივნისს დაფუძნდა,
- 60%-იან წილს შპს „ლანჩობაში“, საკვები ობიექტის ღრუბელი, რომელიც ჯანსაღი და ხელმისაწვდომი ლანჩის მიწოდებას ახორციელებს. კომპანია 2018 წლის 8 ოქტომბერს დაფუძნდა, და
- 100%-იანი წილი შპს „რედბერი ინთერნეიმენალში“, რომელიც განვითარების და ვებ-მომსახურების აუთსორსინგული კომპანიაა. საწარმო 2021 წლის 13 მაისს დაფუძნდა.

31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორები იყვნენ:

	2021	2020
შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს კაპიტალი“	60%	60%
გაგა დარასელია	20%	20%
ლევან კეცხოველი	20%	20%
	100%	100%

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა პარტნიორების მიერ. პარტნიორებს უფლება აქვთ ცვლილებები შეიტანონ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოშვების შემდეგ.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამ არ არის მითითებული. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ჯგუფს აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე (ანუ უფლებები მას მიმდინარე მომენტში საშუალებას აძლევს მართოს ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა);
- ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგების მიღების უფლება ან მგრძნობელობა; და
- შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე ახორციელებს თუ არა კონტროლს, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან სახელშეკრულებო გარიგებებს;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან მიღებული უფლებები;
- ჯგუფის ხმის უფლებებს და პოტენციური ხმის უფლებებს.

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიებზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი კომპანიის წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შვილობილ კომპანიაზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება მზადდება ანგარიშგების იმავე პერიოდისთვის, რომლისთვისაც - მშობელი კომპანიის ანგარიშგება, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით. ჯგუფის ყველა შიდა ნაშთი, ოპერაცია, ჯგუფის შიდა ოპერაციებით განპირობებული არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი, და დივიდენდები, სრულად არის გაქვითული.

მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი კომპანიის პარტნიორებსა და არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არასაკონტროლო პაკეტის ბალანსის დეფიციტს იწვევს. საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

შვილობილი კომპანიის კაპიტალში წილის ცვლილება, კონტროლის დაკარგვის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება.

თუ ჯგუფი დაკარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, იგი წყვეტს შესაბამისი აქტივების (გუდვილის ჩათვლით), ვალდებულებების, არასაკონტროლო პაკეტის და კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას, ხოლო შედეგად მიღებულ შემოსულობას ან ზარალს აღიარებს მოგებაში-ზარალში. ნებისმიერი შენარჩუნებული ინვესტიციის აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

მეკავშირე საწარმოებში ინვესტირება

მეკავშირე საწარმო ისეთი საწარმოა, რომელზეც ჯგუფს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს. მნიშვნელოვანი გავლენა გულისხმობს ინვესტიციის ობიექტის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებებში მონაწილეობის უფლებამოსილებას, მაგრამ არა კონტროლს ან ერთობლივ კონტროლს აღნიშნულ პოლიტიკაზე.

მნიშვნელოვანი გავლენის და ერთობლივი კონტროლის განსაზღვრაში გამოყენებული მოსაზრებები შეესაბამება შვილობილ კომპანიებზე კონტროლის განსაზღვრისთვის საჭირო მოსაზრებებს. ჯგუფის ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში კაპიტალ-მეთოდით აღირიცხება.

კაპიტალ-მეთოდის თანახმად, მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიციის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. ინვესტიციის საბალანსო ღირებულება კორექტირდება, რომ ასახოს მეკავშირე საწარმოში ჯგუფის მიერ ფლობილ წმინდა აქტივებში შეძენის თარიღიდან მომხდარი ცვლილებები. მეკავშირე საწარმოსთან დაკავშირებული გუდვილი შედის ინვესტიციის საბალანსო ღირებულებაში და მისი გაუფასურებაზე გამოცდა ცალკე არ ხდება.

მოგება-ზარალში ასახულია ჯგუფის წილი მეკავშირე საწარმოს ოპერაციების შედეგებში. მეკავშირე საწარმოში ჯგუფის მოგების ან ზარალის თანხა ნაჩვენებია მოგება-ზარალის ანგარიშგების დასაწყისში, საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგების გარეთ და ის წარმოადგენს მოგებას ან ზარალს გადასახადით დაბეგვრის შემდეგ.

მეკავშირე საწარმოს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იგივე საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც წარმოდგენილია ჯგუფის ანგარიშგებაში. საჭიროების შემთხვევაში კეთდება კორექტირებები სააღრიცხვო პოლიტიკების ჯგუფის პოლიტიკებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

კაპიტალ-მეთოდის გამოყენების შემდეგ, ჯგუფი განსაზღვრავს საჭიროა თუ არა გაუფასურების ზარალის აღიარება მის მეკავშირე საწარმოში ინვესტიციაზე. თითოეულ საანგარიშგებო თარიღში, ჯგუფი განსაზღვრავს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია გაუფასურებულია. თუ არსებობს ამგვარი მტკიცებულება, ჯგუფი დაიანგარიშებს გაუფასურების ოდენობას მეკავშირე საწარმოს ანაზღაურებად ღირებულებასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის განსხვავების სახით და შემდეგ მოგებაში ან ზარალში აღიარებს ზარალს 'მეკავშირე საწარმოს მოგების წილში'.

მეკავშირე საწარმოზე მნიშვნელოვანი გავლენის დაკარგვის შემთხვევაში, ჯგუფი ახდენს გაუნაწილებელი ინვესტიციის შეფასებასა და აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. მნიშვნელოვანი გავლენის დაკარგვის მომენტისთვის მეკავშირე საწარმოს საბალანსო ღირებულებასა და გაუნაწილებელი ინვესტიციისა და გასვლის შემოსავლის სამართლიან ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობის აღიარება ხდება მოგება-ზარალში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე- და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ის დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას ჯგუფი „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

იჯარა

ხელშეკრულების გაფორმებისას ჯგუფი აფასებს ხელშეკრულება წარმოადგენს ან მოიცავს თუ არა იჯარას. ეს იმას ნიშნავს, გადასცემს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივების სარგებლობის კონტროლის უფლებას დროის კონკრეტულ მომენტში, ანაზღაურების სანაცვლოდ.

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ჯგუფი იყენებს ერთი აღიარების და შეფასების მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. ჯგუფი აღიარებს იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რომ გადაიხადოს საიჯარო გადასახადები და აქტივის გამოყენების უფლება, რომლებიც წარმოადგენს საბაზისო აქტივების გამოყენების უფლებას.

(i) აქტივის გამოყენების უფლება

ჯგუფი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის დაწყების თარიღში (ე.ი. თარიღში, როცა საბაზისო აქტივი ხელმისაწვდომი იქნება გამოსაყენებლად). აქტივის გამოყენების უფლება თვითღირებულებით ფასდება, რასაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და იცვლება საიჯარო ვალდებულებების ნებისმიერი გადაფასების მიხედვით. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, თავდაპირველად გაწეული პირდაპირი ხარჯების და დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადასახდელების თანხას, ნებისმიერი მიღებული საიჯარო ინიციატივების გამოკლებით. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით, 2-3-წლიანი იჯარის ვადის განმავლობაში.

აქტივის გამოყენების უფლება ასევე გაუფასურებას ექვემდებარება. იხილეთ სააღრიცხვო პოლიტიკები თავში *არაფინანსური აქტივების გაუფასურება*.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარა (გაგრძელება)

(ii) საიჯარო ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღში, ჯგუფი აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით ფასდება. საიჯარო გადასახდელები მოიცავს ფიქსირებულ თანხებს (მათ შორის არსებით ფიქსირებულ გადახდებს), რასაც აკლდება ნებისმიერი საიჯარო შეღავათების დებიტორული დავალიანება, ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც განაკვეთზე ან კოეფიციენტზეა დამოკიდებული და თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების საფუძველზე.

საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების დაანგარიშებისას, ჯგუფი იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღში, რადგან იჯარაში ნაგულისხმევი პროცენტი მარტივად ვერ განისაზღვრება. დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა გაიზრდება, პროცენტის გაზრდის ასახვის მიზნით, და შემცირდება - განხორციელებული საიჯარო გადასახდელებისთვის. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება გადაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება საიჯარო გადახდების ცვლილებას (მაგ. ცვლილება მომავალ გადახდებში, რომელიც წარმოიშობა ამგვარი საიჯარო გადახდების განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილებიდან) ან საბაზისო აქტივის ნასყიდობის შეფასების შესაძლებლობის ცვლილებას.

(iii) მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები

ჯგუფი იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისგან გათავისუფლებას მანქანა-დანადგარების და აღჭურვილობის მოკლევადიან იჯარებზე (ე.ი. იჯარებზე, რომლებსაც აქვთ დაწყების თარიღიდან 12- ან ნაკლებთვიანი საიჯარო ვადა და არ მოიცავენ შესყიდვის უფლებას). ის ასევე ეხება დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის აღიარებისგან გათავისუფლებას, საოფისე აღჭურვილობის იჯარებზე, რომლებიც დაბალფასიანად მოიაზრებიან. საიჯარო გადასახდელები მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები აღიარდება ხარჯის სახით საიჯარო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით.

(iv) „კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო დათმობები

პრაქტიკული მიდგომის სახით, ჯგუფმა გადაწყვიტა არ შეაფასოს არის თუ არა კოვიდ-19-თან დაკავშირებით მეიჯარისგან შემოთავაზებული საიჯარო დათმობა იჯარის მოდიფიცირება. ცვლილება საიჯარო გადასახდელებში, რომელიც გამოწვეულია კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო დათმობით, აღირიცხა იგივე წესით, როგორც მოხდებოდა ფასს (IFRS) 16-ის ფარგლებში ცვლილების აღრიცხვა, იმ შემთხვევაში, თუ ცვლილება არ იქნებოდა იჯარის მოდიფიცირება. ჯგუფმა დათმობა აღრიცხა საიჯარო გადასახდელების პატიების ან გადავადების სახით, როგორც უარყოფითცვლადიანი საიჯარო გადასახდელი. ჯგუფმა შეამცირა საიჯარო ვალდებულება და აღიარა შესაბამისი სხვა შემოსავალი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის ფარგლებში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

საიჯარო ქონების გაუმჯობესება
კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა

წელი

5 წლამდე
3-დან 5 წლამდე

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში, იმ პერიოდში რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(i) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და ჯგუფის ბიზნესმოდელზე, რომლითაც მათ მართავს. იმ სავაჭრო დებიტორული დავალიანებების გამოკლებით, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ჯგუფი ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით განსაზღვრული გარიგების ფასით. იხილეთ სააღრიცხვო პოლიტიკები თავში ‘შემოსავლის აღიარება’ ქვემოთ.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს "მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს" დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

ჯგუფის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფი იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები)
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები ჯგუფისთვის ყველაზე აქტუალური კატეგორიაა, რაც მოიცავს გაცემულ სესხებს, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს და ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს.

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება. ჯგუფის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა, ან
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მე-9 შენიშვნაში წარმოდგენილი.

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და ჯგუფის მოსალოდნელ ყველა ფულად ნაკადს შორის, და დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფმა შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 90 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ჯგუფს შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ ჯგუფი სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, ჯგუფის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

(ii) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგება-ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და ნასესხები სახსრები, კრედიტორული ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხების და სავაჭრო ვალდებულებების შემთხვევაში, მას აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები. ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო ვალდებულებას, საიჯარო ვალდებულებებს და წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური ვალდებულებები ორ კატეგორიად იყოფა:

- მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები
- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები (სესხები)

მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები

მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს და თავდაპირველი აღიარებისას მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებს.

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირება ხდება გასაყიდად არსებულის კატეგორიაში, თუ ისინი შეძენილია უახლოეს მომავალში გადაყიდვის მიზნით. ეს კატეგორია ასევე მოიცავს ჯგუფის მიერ გაფორმებულ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც არ გამოიყენება ჰეჯირების ურთიერთობებში ჰეჯირების ინსტრუმენტებად ფასს (IFRS) 9-ის შესაბამისად. განცალკევებული ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები კლასიფიცირდება გასაყიდად ფლობილად, თუ ისინი ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტებს წარმოადგენს.

თავდაპირველი აღიარებისას მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები აღიარების პირველ თარიღში განისაზღვრება და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებული იქნება ფასს (IFRS) 9-ის კრიტერიუმები. ჯგუფმა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით განსაზღვრა მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები (სესხები)

ეს არის ჯგუფისთვის ყველაზე აქტუალურია კატეგორია. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტის სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში. ეს კატეგორია ზოგადად ეხება სავაჭრო ვალდებულებას და საიჯარო ვალდებულებებს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩაანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩაანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ერთმანეთთან გაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების გაქვითვის იურიდიული უფლება და არ არსებობს შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვის განზრახვა, რათა ერთდროულად მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში და პროცენტიან მოკლევადიან ანაზრებს მაქსიმუმ სამი თვის ვადით, რომლებსაც აქვს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი. ამასთან ჯგუფი 12 თვემდე თავდაპირველი დაფარვის ვადის მქონე ანაზრებს ფულადი სახსრების ეკვივალენტად მიიჩნევს. ჯგუფის ხელმძღვანელობა ამგვარ ანაზრებს მარტივად კონვერტირებად ანაზრებად თვლის მოკლევადიანი ფულადი ვალდებულებებისთვის და რომ მათთან დაკავშირებული ჯარიმები იმდენად მნიშვნელოვნად არ მიაჩნია, რომ მიღებული თანხები აფასებადი იყოს, რაც განსხვავდება იმ თანხებისგან, რომლებსაც ის მიიღებდა და რომლებსაც თავდაპირველად შემენილ ინვესტიციაზე ნაკლები ვადა ჰქონდათ.

გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული ვალდებულებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის პარტნიორებზე დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადის დავალიანება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება სხვა საოპერაციო ხარჯებში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი განისაზღვრება მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრული ანაზღაურების საფუძველზე და არ მოიცავს მესამე მხარეთა სახელით მოკრებილ თანხებს. ჯგუფი შემოსავალს მაშინ აღიარებს, როდესაც პროდუქტზე ან მომსახურებაზე კონტროლს მომხმარებელს გადასცემს. ჯგუფმა ზოგადად დაასკვნა, რომ ის პრინციპალია შემოსავლების მომტან გარიგებებში, რადგან ის ტიპიურად აკონტროლებს საქონელს და მომსახურებებს, მათი კლიენტზე გადაცემამდე.

შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

შემოსავალი შემოქმედებითი კამპანიებიდან და კონტენტის წარმოებიდან

ჯგუფი თავის კლიენტებს უზრუნველყოფს მომსახურებებით შემოქმედებითი კამპანიების დაგეგმვისა და ხელმძღვანელობისთვის, ვიდეო და/ან ფოტო კონტენტის მხარდაჭერით, კონკრეტულ თემაზე. ჯგუფი შემოქმედებითი კამპანიებიდან შემოსავალს დროთა განმავლობაში აღიარებს, რადგან მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს მათთვის მისთვის შეთავაზებულ სარგებელს. შემოსავლები კონტენტის წარმოებიდან გარკვეული დროის განმავლობაში აღიარდება. ჯგუფის ფუნქციონირებისას არ იქმნება აქტივი ჯგუფის ალტერნატიული სარგებლობისთვის და ჯგუფს აქვს აღსრულებადი უფლება გადახდაზე, კონკრეტულ თარიღში დასრულებული მომსახურებისთვის. ჯგუფი შემოსავალს აღიარებს სამუშაო საათების საფუძველზე, მომსახურების გასაწევად ან სხვა კონკრეტული ღირებულებების შესაქმნელად საჭირო მთლიან მოსალოდნელ სამუშაო საათებზე გაანგარიშებით.

შემოსავალი მედია-დაგეგმარებიდან

ჯგუფი თავის მომხმარებლებს სთავაზობს მედია-დაგეგმარების მომსახურებებს ციფრული ქსელებისთვის (*Facebook, Instagram, YouTube* და სხვ.) ჯგუფი მედია-დაგეგმარებიდან შემოსავალს დროთა განმავლობაში აღიარებს, ჩვეულებრივ 30-დან 12 წლამდე პერიოდში, რადგან მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს მათთვის მისთვის შეთავაზებულ სარგებელს. ჯგუფი პროგრესს აფასებს დასრულების მეთოდის პროცენტული მაჩვენებლის გამოყენებით, ნახვების, გაზიარებების, მოწონების და მოცემული თარიღისთვის მიღწეული სხვა კონკრეტული ღირებულებების რაოდენობის საფუძველზე.

შემოსავალი ვებ/მობილური მომსახურებიდან

ჯგუფი თავის მომხმარებლებს სთავაზობს ვებ-გვერდების დიზაინის და მობილური აპლიკაციების შემუშავების მომსახურებებს (*iOS* ან *Android*-ის ბაზაზე). ჯგუფი შემოსავალს ვებ/მობილური მომსახურებებიდან აღიარებს გარკვეული დროის განმავლობაში. ჯგუფის ფუნქციონირებისას არ იქმნება აქტივი ჯგუფის ალტერნატიული სარგებლობისთვის და ჯგუფს აქვს აღსრულებადი უფლება გადახდაზე, კონკრეტულ თარიღში დასრულებული მომსახურებისთვის. ჯგუფი შემოსავალს აღიარებს სამუშაო საათების საფუძველზე, მომსახურების გასაწევად საჭირო მთლიან მოსალოდნელ სამუშაო საათებზე გაანგარიშებით.

შემოსავალი სტრატეგიული მომსახურებიდან

ჯგუფის შემოსავალი სტრატეგიული მომსახურებიდან ძირითადად მოიცავს ბრენდირების მომსახურებებს. აღიარების კრიტერიუმი ზემოთ აღწერილი შემოქმედებითი კამპანიებიდან მიღებული შემოსავლის მსგავსია.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

სახელშეკრულებო ნაშთები

სახელშეკრულებო აქტივები

სახელშეკრულებო აქტივი თავდაპირველად აღიარდება კონტენტის წარმოებისა და ვებ/მობილური სერვისებიდან გამომჟღავნებული შემოსავლისთვის, რადგან ანაზღაურების მიღება პირობითია საქონლის და მომსახურებების წარმატებით დასრულებაზე. პროდუქტების დასრულებისა და მისი კლიენტის მიერ მიღებისთანავე, სახელშეკრულებო აქტივებად აღიარებული თანხა გადაკლასიფიცირდება სავაჭრო მოთხოვნებად. სახელშეკრულებო აქტივები გაუფასურების შეფასების საგანია.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

დებიტორული დავალიანების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ კლიენტისგან უპირობოდ მიიღება საზღაურის თანხა (ე.ი. მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო საზღაურის გადახდის თარიღის დადგომამდე).

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ კლიენტისგან გადახდა მიიღება ან გადახდის ვადა დადგება (რომელიც უფრო ადრე მოხდება) ჯგუფის მიერ შესაბამისი საქონლის ან მომსახურების გადაცემამდე. სახელშეკრულებო ვალდებულებები შემოსავლად აღიარდება, როდესაც ჯგუფი შეასრულებს მათ ხელშეკრულების საფუძველზე (ე.ი. კლიენტს გადასცემს კონტროლს შესაბამის საქონელზე ან მომსახურებებზე).

საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც მომავალში მოსალოდნელი ფულადი სახსრების ზუსტ დისკონტირებას ახდენს ფინანსური ინსტრუმენტის ვადაზე ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ჯგუფის სამუშაო ვალუტა ლარია. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალის ნაწილში.

სხვაობა უცხოურ ვალუტაში ოპერაციების სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და სებ-ის მიერ ოპერაციის თარიღში დადგენილ გაცვლით კურსს შორის შესულია წმინდა საკურსო ზარალში განსაზღვრულ მოგებაში ან ზარალში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად იყო 3,0976 და 3,2766 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებაში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, ჯგუფი აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რაც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, გამოიყენება შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

ჯგუფი გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება ჯგუფის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. გრძელვადიანი ზრდის ტემპი გამოითვლება და გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში, გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამისად, გარდა მანამდე გადაფასებული ქონებისა, რომლის გადაფასების რეზერვიც აისახა სხვა სრულ შემოსავალში. ასეთი ქონების შემთხვევაში, გაუფასურების აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში ნებისმიერი წინა გადაფასების თანხამდე.

ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღმოფხვრილი ან შემცირებულია. მსგავსი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს აქტივის ან ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. ამობრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. შემობრუნების აღიარება ხდება მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქტივი აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც შემობრუნება აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

შემდეგი ცვლილებები და ინტერპრეტაციები პირველად იქნა გამოყენებული 2021 წელს, თუმცა მათ არ ჰქონიათ გავლენა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- საპროცენტო განაკვეთის ბენჩმარკების ფუნდამენტური რეფორმა - მე-2 ეტაპი: ცვლილებები ფასს (IFRS) 9, ბასს (IAS) 39, ფასს (IFRS) 7, ფასს (IFRS) 4 და ბასს (IAS) 16-ში,
- „კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“ 2021 წლის 30 ივნისის მიღმა, ფასს (IFRS) 16-ის ცვლილება.

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისთვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯგუფი ნაადრევად არ მიუღია. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა მოცემულია ქვემოთ:

- ფასს (IFRS) 17: სადაზღვევო ხელშეკრულებები,
- ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში - „ვალდებულებების მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიცირება“,
- ცვლილებები ფასს (IFRS) 3-ში: კონცეპტუალური მიდგომა,
- ცვლილებები ბასს (IAS) 16-ში: ძირითადი საშუალებები,
- ცვლილებები ბასს (IAS) 37-ში: დამამძიმებელი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი,
- ცვლილებები ფასს (IFRS) 1-ში: ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება - შვილობილი კომპანიები, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს,
- ცვლილებები ფასს (IFRS) 9-ში: ფინანსური ინსტრუმენტები - გადასახდელები „10-პროცენტიანი“ ტესტის ფარგლებში, ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის,
- ცვლილებები ბასს (IAS) 41-ში: სასოფლო მეურნეობა - დაბეგვრა სამართლიანი ღირებულებით შეფასებაში,
- სააღრიცხვო შეფასებების განმარტება - ბასს (IAS) 8-ის ცვლილება,
- სააღრიცხვო პოლიტიკებთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა - ბასს (IAS) 1-ის ცვლილება და განცხადება 2 ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ.

მოსალოდნელი არ არის, რომ ამ ახალ სტანდარტებს არსებითი გავლენა ექნება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. შეფასებების და დაშვებების გამოყენება

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

(ა) მოსაზრებები

ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის განსჯა, რომელიც ყველაზე მეტად მოქმედებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

(ა) მოსაზრებები (გაგრძელება)

(i) ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

წილი მეკავშირე საწარმოში წარმოადგენს მასში განხორციელებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით, ნებისმიერ სხვა გრძელვადიან პროცენტებთან ერთად, რომლებიც, არსებითად, ქმნიან მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივ საწარმოში საწარმოს მიერ განხორციელებული წმინდა ინვესტიციის ნაწილს. ჯგუფი მისი მეკავშირე საწარმოსთვის მინიჭებულ გრძელვადიან სესხს ინვესტიციის ნაწილად მოიაზრებს, რადგან სესხის დაფარვა არც იგეგმება და არც მოსალოდნელიც არ არის რომ დაფარვა მოხდება განჭვრეტად მომავალში. კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით აღიარებული ზარალი, რომელიც ჯგუფის ინვესტიციას აღემატება ვრცელდება მეკავშირე საწარმოში ჯგუფის ინტერესის სხვა კომპონენტებზე, საპირისპირო რიგითობით (ე.ი. ლიკვიდაციაში პრიორიტეტულობით).

(ii) ძირითადი საშუალებების გაუფასურება

ჯგუფმა მისი შვილობილი კომპანიების შემცირებული საოპერაციო ფულადი ნაკადები მიიჩნია გაუფასურების ინდიკატორად და თითქმის სრულად გაუფასურებულ ძირითად საშუალებად (მე-6 შენიშვნა).

(iii) საიჯარო ვალდებულებები და აქტივის გამოყენების უფლება

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად ინდივიდუალური მეიჯარეებისთვის გადახდილი თანხები საშემოსავლო გადასახადის საგანია. ჯგუფის საიჯარო ხელშეკრულებებში განსაზღვრულია ერთი თვის იჯარის თანხა ნებისმიერი გადასახადის გამოკლებით, შესაბამისად ფიქსირებულ გადახდად მიიჩნევა მხოლოდ ის თანხები, რომლებიც არ მოიცავენ გადასახადებს და ეს უკანასკნელები ცვალებადია. დაწყების თარიღში, იჯარის წმინდა ინვესტიციის შეფასებაში შესული საიჯარო გადასახდელები მოიცავს მხოლოდ ფიქსირებულ გადახდებს გამოყენების უფლების მქონე საბაზისო აქტივებისთვის, იჯარის ვადის განმავლობაში, რომლებიც არ მიიღება იჯარის დაწყების თარიღში.

(iv) ქოლ- და ფუტ-ოფციონები

2020 წლის დეკემბერში ჯგუფმა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსგან შეიძინა სს „ქარფესტის“ 25%, საწარმო, რომელიც ჩართულია ავტომობილებით ვაჭრობაში, რომელიც ასევე ჯგუფთან საერთო კონტროლს ექვემდებარება. ნასყიდობაში გადახდილი ანაზღაურება შეადგენდა 2,5 ლარს. ჯგუფმა განსაზღვრა, რომ მან მნიშვნელოვანი გავლენა მიიღო სს „ქარფესტში“ და ის დააკლასიფიცირა, როგორც ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში, რა დროსაც აღრიცხვა მოხდა კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით. თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფმა ინვესტიციები თვითღირებულებით აღიარა. ნასყიდობის შემდეგ ჯგუფმა გააფორმა ქოლ- და ფუტ-ოფციონების გარიგება სს „ქარფესტში“ შეძენილი წილის შესაბამისად, გამყიდველის მიერ ოფციონის პრემიის გადახდის ან მიღების გარეშე. ოფციონის პირობებში ჯგუფს აქვს უფლება გამყიდველს უკან მიჰყიდოს მისი ინვესტირება სს „ქარფესტში“ 2026 წელს. თუ არ მოხდება ჯგუფის ფუტ-ოფციონის გამოყენება, გამყიდველს აქვს უფლება შეიძინოს ინვესტიცია ჯგუფისგან 2028 წელს. ქოლ- და ფუტ-ოფციონების სარგებლობის ღირებულება განისაზღვრება სს „ქარფესტის“ საწარმოს ღირებულების (გაანგარიშდება „ქარფესტის“ EBITDA-ს წინასწარ განსაზღვრული ნამრავლი) გათვალისწინებით, მისი წმინდა ვალის გამოკლებით ისეთი პერიოდისთვის და თარიღში, რომელიც ოფციონით სარგებლობას უსწრებს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ჯგუფმა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შეაფასა ამ ოფციონებთან დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები ნასყიდობის თარიღის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როდესაც მათი გარიგების ფასი ნული იყო. თავდაპირველი აღიარებისას ოფციონების შეფასებაში ჯგუფმა გაითვალისწინა, რომ თავდაპირველი აღიარებისას მათი სამართლიანი ღირებულება ვერ შეფასდებოდა ემპირიული საბაზრო შემავალი მონაცემების გათვალისწინების გარეშე, საბაზისო ინვესტიციების ლისტიგში აღურიცხავი და არალიკვიდური ხასიათიდან გამომდინარე.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდგომი შეფასებისას ჯგუფმა გაითვალისწინა სს „ქარფესტის“ შესრულებისა და ოპერაციების შესახებ ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ და განსაზღვრა, რომ არ არსებობდა შესაბამისი ფაქტორები, რომლებიც მიუთითებდნენ, რომ ღირებულება შესაძლოა არ მოიცავდეს სამართლიან ღირებულებას და, როგორც ასეთი, მიიჩნევა, რომ ეს ღირებულება ოფციონის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო შეფასება იყო 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. თავდაპირველი აღიარებისას და 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ოფციონის შეფასებაში მნიშვნელოვანი მსჯელობა იყო გამოყენებული.

5. იჯარა

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

2021 წლის ნოემბერში საოფისე შენობებზე ჯგუფის არსებულ საიჯარო ხელშეკრულებებს ვადა გაუვიდათ და არ გახანგრძლივებულა. ამის ნაცვლად 2021 წლის ივლისში ჯგუფმა გააფორმა 36-თვიანი საიჯარო ხელშეკრულება ახალ მეიჯარესთან და მოახდინა 67 ლარის კაპიტალიზაცია საიჯარო გაუმჯობესებების სახით, რომლებიც აქტივის გამოყენების უფლებაშია შესული. ჯგუფის ვალდებულებების მის იჯარასთან დაკავშირებით უზრუნველყოფილია მეიჯარის უფლებით უფლებრივად დატვირთულ აქტივებზე. ზოგადად, ჯგუფს ეკრძალება საიჯარო აქტივების გადაცემა და ქვეიჯარა. საიჯარო ხელშეკრულება არ მოითხოვს ჯგუფისგან კონკრეტული ფინანსური კოეფიციენტების შენარჩუნებას. ქვემოთ მოცემულია აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება და მოძრაობები პერიოდის განმავლობაში:

	შენობა- ნაგებობები
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	339
შესყიდვები	(98)
ცვეთის ხარჯი	(114)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	127
შესყიდვები	205
ცვეთის ხარჯი	(164)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	168

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. იჯარა (გაგრძელება)

ქვემოთ განსაზღვრულია საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება და მოძრაობები პერიოდის განმავლობაში:

	2021	2020
1 იანვრის მდგომარეობით	152	335
შესყიდვები	204	–
პროცენტის დარიცხვა	11	13
გასვლები	–	(64)
საიჯარო დათმობა	–	(15)
გადახდილი	(250)	(141)
საკურსო სხვაობები	9	24
31 დეკემბრის მდგომარეობით	126	152
მიმდინარე	48	152
გრძელვადიანი	78	–

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი იყენებდა ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს 5,7%-ის (2020 წ.: 7,8%) ოდენობით. ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის ცვლილება გამოიწვია 2021 წელს ახალი საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებამ.

სახელშეკრულებო არადისკონტირებულ გადახდებზე დაფუძნებული საიჯარო ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი იყო შემდეგი:

	მოთხოვნამდე	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი	–	–	53	87	140
2020 წლის 31 დეკემბერი	–	57	151	–	208

6. ძირითადი საშუალებები

	საიჯარო ქონების გაუმჯობესება	კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	სულ
თვითღირებულება			
2019 წლის 31 დეკემბერი	26	243	269
შესყიდვები	15	64	79
გასვლები	–	(31)	(31)
2020 წლის 31 დეკემბერი	41	276	317
შესყიდვები	–	127	127
2021 წლის 31 დეკემბერი	41	403	444
დაგროვილი ცვეთა			
2019 წლის 31 დეკემბერი	4	67	71
ცვეთის ხარჯი	8	60	68
გასხვისებისას ელიმინირებული	–	(18)	(18)
2020 წლის 31 დეკემბერი	12	109	121
ცვეთის ხარჯი	–	64	64
გაუფასურების ხარჯი	29	18	47
2021 წლის 31 დეკემბერი	41	191	232
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2020 წლის 31 დეკემბერი	29	167	196
2021 წლის 31 დეკემბერი	–	212	212

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

7. გაცემული სესხი

2020 წელს ჯგუფმა სს „ქარფესტზე“ გასცა საკრედიტო ხაზი 1,000 ლარის ოდენობით ლიმიტით, ორწლიანი დაფარვის ვადით და 12%-იანი წლიური პროცენტით. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აუთენტიკებული საკრედიტო ხაზი 838 ლარს შეადგენდა. 2021 წელს სესხი გადაკლასიფიცირდა ინვესტიციად მეკავშირე საწარმოში სს „ქარფესტი“ (მე-10 შენიშვნა).

წლის განმავლობაში გაცემულ სესხში მოძრაობები 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის იყო შემდეგი:

2020 წლის 1 იანვარს	–
წლის განმავლობაში გაცემული სესხი	162
წლის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	7
მეკავშირე საწარმოს ზარალის წილი, რომელიც ინვესტიციის თანხას აღემატება	(20)
2020 წლის 31 დეკემბრის	149
მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის რეკლასიფიკაცია (მე-10 შენიშვნა)	(149)
2021 წლის 31 დეკემბრის	–

8. სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები

	2021	2020
მესამე მხარეებისგან მისაღები თანხები	586	272
დაკავშირებული მხარეებისგან მისაღები თანხები	135	115
სახელშეკრულებო აქტივები	161	148
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(151)	(111)
სულ სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები	731	424

მოძრაობა სავაჭრო მოთხოვნების რეზერვში და სახელშეკრულებო აქტივებში არის შემდეგი:

	2021	2020
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 1 იანვარს	111	103
წლის დანარიცხი (მე-15 შენიშვნა)	40	8
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 31 დეკემბრის	151	111

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები ასეთი იყო:

	არც ვადაგადაცი- ლებული და არც გაუფასურებული	<30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	90-180 დღე	>180 დღე	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი							
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი %	–	0%	20%	30%	65%	100%	
მოსალოდნელი მთლიანი რაოდენობა	175	506	44	8	28	121	882
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხა	–	–	(9)	(3)	(18)	(121)	(151)
სულ სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები	175	506	35	5	10	–	731

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

8. სავაჭრო დებიტორული დაგალიანება და სახელშეკრულებო აქტივები (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბერი	არც ვადაგადაცი- ლებული და არც გაუფასურებული	<30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	90-180 დღე	>180 დღე	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი %	–	0%	20%	30%	65%	100%	
მოსალოდნელი მთლიანი რაოდენობა	172	137	87	49	31	59	535
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხა	–	–	(17)	(15)	(20)	(59)	(111)
სულ სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები	172	137	70	34	11	–	424

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები გონივრულ ფარგლებში მათ სამართლიან ღირებულებებს არის მიახლოებული. გადახდის პირობები 5-დან 180 კალენდარულ დღეს მოიცავს. 2021 წელს ჯგუფმა დარიცხა სავაჭრო მოთხოვნების დამატებითი გაუფასურების რეზერვი 40 ლარის (2020 წ.: 8 ლარი) ოდენობით.

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2021	2020
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	1,952	1,583
მოკლევადიანად მიჩნეული საბანკო ანაზრები	3,174	5,388
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5,126	6,971

ჯგუფის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები უმეტესად მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში. ხელმძღვანელობა არ მოელის ზარალს, რომელიც გამოწვეულია იმ ბანკის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით, სადაც განთავსებულია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ამასთან, მათი საბალანსო და სამართლიანი ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება. 2021 წელს ანაზრზე დაირიცხა ცვალებადი წლიური საპროცენტო განაკვეთი 10,3-13,5%-ის ოდენობით (2020 წ.: 10,0%-13,5%).

10. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

2020 წლის 11 დეკემბერს ჯგუფმა შეიძინა სს „ქარფესტის“ 25%. კომპანია ახორციელებს მეორადი ავტომობილების იმპორტს და ფიზიკურ პირებზე რეალიზაციას. ჯგუფს 2020 წელს გადახდა არ განუხორციელებია, თუმცა გაცემული სესხი ამორტიზებული ღირებულებით 149 ლარი ჩაითვალა მეკავშირე საწარმოში ჯგუფის ინვესტიციის გაგრძელებად. შესაბამისად, ჯგუფს არ უღიარებია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ამ სესხთან მიმართებით. 2021 წელს ჯგუფმა მოახდინა სესხის მეკავშირე საწარმოში ინვესტიციად გადაკლასიფიცირება და დამატებით 264 ლარი გადაიხდა. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ინვესტიცია სს „ქარფესტში“ 413 ლარის ოდენობით მთლიანად გაუფასურდა მეკავშირე საწარმოს მიერ განცდილი ზარალის და ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო, შეეწყვიტა საქმიანობები 2022 წლის იანვრიდან.

2021 წლის 25 აგვისტოს ჯგუფმა 60 ლარად შეიძინა შპს „სქუადროს“ 20%-იანი წილი. სტარტაპ ეტაპზე მყოფი საწარმო შეიმუშავებს და ქმნის გეგმებს კომპანიებისთვის SAP პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდებისა და შესაბამისი მომსახურებების გაწევისთვის. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა შპს „სქუადროსში“ მთლიანი ინვესტიციიდან 20 ლარი გადაიხდა, ხოლო დარჩენილი ნაშთი შესულია სავაჭრო ვალდებულებებში (მე-12 შენიშვნა). 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გამოუვლენია გაუფასურების რაიმე ინდიკატორი შპს „სქუადროსში“ ინვესტირებასთან დაკავშირებით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

11. კაპიტალი

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს უკვე სრულად ჰქონდა გადახდილი 7,568 ლარის ოდენობით საწესდებო კაპიტალი, რომლის შეტანაც მშობელმა კომპანიამ ნაღდი ფორმით განახორციელა შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიაში „საქართველოს კაპიტალი“. 2021 და 2020 წლებში ჯგუფის დივიდენდები არ გამოუცხადებია ან გაუნაწილებია. ჯგუფის დონეზე არ არსებობს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა და ის მოიაზრება ჯგუფის კაპიტალის მართვის უფრო მსხვილი პროცესის ნაწილად. კომპანიაზე არ ვრცელდება კაპიტალთან დაკავშირებული გარე მოთხოვნები.

12. სავაჭრო ვალდებულება

	2021	2020
თანამშრომლებისთვის გადასახდელი სარგებელი	360	210
სავაჭრო ვალდებულებები მომსახურებისთვის	281	132
გადასახდელი საოპერაციო გადასახადი	84	135
მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციების შემენასთან დაკავშირებული კრედიტორული ვალდებულებები (მე-10 შენიშვნა)	40	–
სულ სავაჭრო ვალდებულებები	765	477

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები გონივრულ ფარგლებში მათ სამართლიან ღირებულებებს არის მიახლოებული, ვალდებულების მოკლევადიანი ხასიათიდან გამომდინარე.

13. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ჯგუფი მსხვილ ქართულ კორპორაციებს და სხვადასხვა სამთავრობო სააგენტოებს სთავაზობს ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ მარკეტინგულ გადაწყვეტილებებს. ჯგუფის ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან შემოსავლის წყაროების მიხედვით იყო შემდეგი:

	2021	2020
შემოსავალი ვებ/მოზილური მომსახურებიდან	1,560	521
შემოსავალი შემოქმედებითი კამპანიებიდან	935	646
შემოსავალი კონტენტის წარმოებიდან	708	812
შემოსავალი მედია-დაგეგმარებიდან	216	168
შემოსავალი სტრატეგიული მომსახურებიდან	76	130
შემოსავალი სხვა მომსახურებებიდან (ა)	639	387
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	4,134	2,664

(ა) ამონაგები სხვა მომსახურებებიდან მეტწილად მოიცავს შემოსავალს შპს „ლანჩობადან“, რომელიც საკვები პროდუქტების რეალიზაციიდან და მიწოდების მომსახურებიდან გენერირდება და ასევე შპს „რედბერის“ სხვა შემოსავალს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

13. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (გაგრძელება)**სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები**

ჯგუფმა აღიარა შემოსავალთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები:

	2021	2020
სავაჭრო მოთხოვნები	570	276
სახელშეკრულებო აქტივები	161	148
სულ სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები	731	424
სახელშეკრულებო ვალდებულებები	49	107
სულ სახელშეკრულებო ვალდებულებები	49	107

სახელშეკრულებო აქტივები აღიარდება, როგორც ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მარკეტინგული გადაწყვეტილებებიდან მისაღები თანხები მაშინ, როდესაც საზღაურის მიღების უფლება უპირობო ხდება. 2021 წელს ჯგუფმა აღიარა 107 ლარის შემოსავალი (2020 წ.: 87 ლარი), რომელიც უკავშირდება მომდევნო პერიოდზე გადატანილ სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ისინი შესულია წლის დასაწყისში სახელშეკრულებო ვალდებულებებში.

ჯგუფი იყენებს ფასს 15.121-ით გათვალისწინებულ პრაქტიკულ მეთოდს და არ წარადგენს განმარტებით შენიშვნებს გარიგების ფასის აგრეგირებულ ოდენობაზე, რომელიც განაწილებულია შეუსრულებელ ვალდებულებებზე, რომელთა შესაბამისი ხელშეკრულებების თავდაპირველი მოსალოდნელი ხანგრძლივობა ერთ წელზე ნაკლებია.

14. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2021	2020
პირდაპირი გასამრჯელო და ხელფასები	2,617	2,096
გამოყენებული მასალების თვითღირებულება	708	443
დაქირავებული თანამშრომლების ხარჯი	430	208
სოციალური ქსელით გაწეული მომსახურების თვითღირებულება	165	98
სხვა	–	3
სულ	3,920	2,848

2021 წელს ჯგუფში 131 ადამიანი იყო დასაქმებული, მათ შორის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ჩათვლით (2020 წ.: 84 თანამშრომელი).

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	1,331	1,026
პროფესიული მომსახურების ღირებულება	86	74
საოფისე საქონლის და ტექნიკური მომსახურების ხარჯი	56	50
კომუნალური ხარჯები	32	34
მოკლევადიანი საიჯარო ხარჯი	19	21
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი (მე-8 შენიშვნა)	40	8
სხვა ხარჯები	226	172
სულ	1,790	1,385

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

16. ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოქმნილი რისკები

ჯგუფის საქმიანობისთვის გარკვეული რისკებია დამახასიათებელი, და მათი მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასებისა და კონტროლის უწყვეტი პროცესით, რისკების ლიმიტებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების მეშვეობით. რისკის მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჯგუფის რენტაბელურობისათვის და ჯგუფის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისი საქმიანობის ფარგლებში. ჯგუფის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები.

რისკების კონტროლის დამოუკიდებელი პროცესი არ მოიცავს ისეთ ბიზნეს რისკებს, როგორებიც არის გარემო პირობების, ტექნოლოგიების და ინდუსტრიის ცვლილებების რისკები. მათი კონტროლი ხდება ჯგუფის სტრატეგიული დაგეგმარების პროცესით.

16.1 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფმა შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა მომხმარებლებმა, კლიენტებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, გარდა შემდეგისა:

- ნაღდი ფულის ნაშთი ბანკებში:
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს მესამე პირ ბანკებში განთავსებული აქვს 5,126 ლარი, რომელთა რეიტინგი იყო „Ba2“ „Moody's“-ის სარეიტინგო სააგენტოსგან და სააგენტოსგან „BB-/B“ „Fitch Ratings“-სგან. 3,174 ლარი წარმოადგენს ვადიან ანაბარს თავდაპირველი 12-თვიანი დაფარვის ვადით.
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სახელშეკრულებო აქტივები:
ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნები უმეტესად ლარშია გამოხატული და მათი ვადა შეადგენს საანგარიშგებო თარიღიდან 180 დღეს. საკრედიტო რისკის შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-8 შენიშვნაში.

16.2 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ ჯგუფმა ვერ შეძლოს ნორმალურ ან სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ყველა თავისი ფინანსური ვალდებულების დროულად დაფარვა. ჯგუფის ლიკვიდურობის რისკი ფასდება და კონტროლდება ხელმძღვანელობის მიერ.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულების ვადა შეადგენს სამ თვეს, ხოლო სახელშეკრულებო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებები მათ საბალანსო ღირებულებას უტოლდება.

16.3 საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების რისკი საბაზრო ფაქტორების, მაგალითად საპროცენტო განაკვეთებისა და უცხოური ვალუტის კურსების მერყეობის შედეგად. ჯგუფი არ გასწევს მნიშვნელოვან საბაზრო რისკს მის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებთან მიმართებაში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

17. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე, ან თუ მხარეები ერთი და იმავე ჯგუფის შვილობილი კომპანიებია. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომელიც განხორციელდა გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებებისა და ჯგუფის დაუფარავი ნაშთების ოდენობა ასეთია:

	2021	2020
სხვა დაკავშირებული მხარეები		
სავაჭრო მოთხოვნები	135	115

სავაჭრო მოთხოვნები უმეტესწილად წარმოადგენენ ვებ/მობილური მომსახურებებისთვის მისაღებ თანხებს, რომელთა გადახდის ვადები 5-დან 180 კალენდარულ დღემდე მერყეობს.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ჯგუფის იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა:

	2021	2020
სხვა დაკავშირებული მხარეები		
შემოსავალი	433	389

2021 წელს ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა სამი პირისგან შედგებოდა და მათმა ანაზღაურებამ 489 ლარი შეადგინა (2020 წ.: სამი ადამიანი; ანაზღაურება 238 ლარი).

18. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა კავშირმა უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს, მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებსა და ფიზიკურ პირებს. ომის დაწყების შემდეგ რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა, ასევე გაუფასურდა რუსული კომპანიების ფასიანი ქაღალდების ღირებულება. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. მოსალოდნელია, რომ ომს უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე. ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს, შეუძლებელია იმის სარწმუნოდ შეფასება, თუ როგორ აისახება ეს კომპანიის საქმიანობაზე, რადგან გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს ზოგადად ეკონომიკაზე. ჯგუფის ხელმძღვანელობა თვალს ადევნებს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში. ჯგუფი უკრაინის ომს მიიჩნევს საბალანსო უწყისის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენად.